

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ანტრე 2008

2020 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	11
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	11
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	12
2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება	12
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
3.1 უცხოური ვალუტა	12
3.2 ძირითადი საშუალებები	12
3.3 არამატერიალური აქტივები	13
3.4 ძირითადი საშუალებების გაუფასურება	13
3.5 იჯარა	13
3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	14
3.8 ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები	15
3.9 კაპიტალი	15
3.10 ანარიცხები	15
3.11 მოგების გადასახადი	15
3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	15
3.13 შემოსავალი	16
4 ძირითადი საშუალებები	17
5 არამატერიალური აქტივები	18
6 გაცემული სესხები	18
7 მარაგები	19
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	19
10 სესხები	20
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
12 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	21

13	სხვა შემოსავალი	21
14	გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	21
15	ადმინისტრაციული ხარჯები	22
16	ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	22
17	საქურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	22
18	შემდგომი მოვლენები	22
19	მნიშვნელოვანი ბუღალტრული დამკვრები და შეფასებები	22
19.1	მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები	22
19.2	ძირითადი დამკვრები მომავალთან დაკავშირებით	23
20	ფინანსური ინსტრუმენტები	23
20.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	23
20.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	23
21	ფინანსური რისკის მართვა	24
22	კაპიტალის რისკის მართვა	26
23	პირობითი ვალდებულებები	26
23.1	საოპერაციო იჯარის ვალდებულება	26
24	გაუთვალისწინებელი გარემოებები	27
24.1	დაზღვევა	27
24.2	გადასახადები	27
24.3	გარემოს დაცვა	27
25	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	27
26	დაკავშირებული მხარეები	28
26.1	საკონტროლო ურთიერთობები	28
26.2	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
26.3	ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან	28
27	შესაღარი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება	29
	მმართველობის ანგარიშგება	31
	1. საქმიანობის მიმოხილვა	34
	2. განვითარების სტრატეგია	37
	3. ჩატარებული კვლევები	38
	4. ფინანსური ინფორმაცია	38
	5. ფინანსური რისკების მართვა	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს “ანტრე 2008”-ის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ანტრე 2008 (“კომპანია”) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების („მსს ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვა მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები

შესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

სხვა საკითხები

კომპანიის წინა წლების ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული. 2019 და 2018 წლისათვის ჩვენ არ გვქონდა საშუალება ჩართული ვყოფილიყავით აუდიტის, მიმოხილვის ან პროცედურების გამოყენების პროცესში, გარდა კორექტირებების შესაძლებლობისა, და შესაბამისად, მთლიანობაში აღებული ფინანსური ანგარიშგების შესადარის ციფრებთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ან სხვა ტიპის გარანტიას.

როგორც ფინანსური ანგარიშგების 27-ე პენიშვნაშია ასახული, შესადარისი ფინანსური ანგარიშგება გადაანგარიშდა. ჩვენ ჩავატარეთ ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშებული მონაცემების აუდიტი.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასის-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების პენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანტ თორნტონის სახელით

მმართველი პარტნიორი

თბილისი, საქართველო

2021 წლის 24 ნოემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარი შებული)	2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარ იშებული)
	შენიშვნა			
აქტივები				
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	4	4,956,756	4,537,783	4,097,942
არამატერიალური აქტივები	5	3,922	7,120	10,149
გაცემული სესხები	6	2,383,572	2,918,819	3,173,695
		7,344,250	7,463,722	7,281,786
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>				
მარაგები	7	266,306	256,410	228,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	105,536	136,648	129,470
სხვა მიმდინარე აქტივები		100,655	29,244	24,420
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	9	726,441	651,476	547,281
		1,198,938	1,073,778	929,345
სულ აქტივები		8,543,188	8,537,500	8,211,131
კაპიტალი და ვალდებულებები				
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>				
საწესდებო კაპიტალი		200	200	200
აკუმულირებული მოგება		1,578,703	1,344,932	674,949
		1,578,903	1,345,132	675,149
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
სესხები	10	4,151,190	3,459,529	4,409,852
		4,151,190	3,459,529	4,409,852
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,997,299	2,283,507	1,790,506
სესხები	10	815,796	1,388,280	1,331,639
საიჯარო ვალდებულებები		-	59,883	-
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	1,169	3,985
		2,813,095	3,732,839	3,126,130
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,543,188	8,537,500	8,211,131

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 24 ნოემბერს:

ევგენი ფიჩხაია

ნინო კობერიძე

ადმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-30 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს;

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი		2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა		
შემოსავალი		14,965,969	18,287,961
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(9,084,425)	(10,909,560)
მთლიანი მოგება		5,881,544	7,378,401
სხვა შემოსავალი	13	535,349	825
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები	14	(3,134,852)	(3,647,926)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(2,359,324)	(2,588,143)
სხვა ხარჯები		(88,283)	(184,215)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგები		834,434	958,942
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	16	(247,867)	(235,674)
საქურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	17	(369,473)	(220,803)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)		16,677	167,518
მოგება დაბეგვრამდე		233,771	669,983
მოგების გადასახადი (ხარჯი)/აღდგენა		-	-
წლის მოგება		233,771	669,983
წლის მთლიანი სრული მოგება		233,771	669,983

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-30 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი (აღრე წარდგენილი)	200	811,232	811,432
გადაანგარიშება (შენიშვნა 27)	-	(136,283)	(136,283)
2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	200	674,949	675,149
წლის მოგება	-	669,983	669,983
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	669,983	669,983
2019 წლის 31 დეკემბერი	200	1,344,932	1,345,132
წლის მოგება	-	233,771	233,771
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	233,771	233,771
2020 წლის 31 დეკემბერი	200	1,578,703	1,578,903

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-30 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		17,560,902	21,343,935
სხვა მომსახურებიდან მიღებული ფული		-	3,318
თანამშრომლებისგან მიღებული ფული		240,400	-
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(9,909,668)	(12,037,704)
გადახდილი ხელფასი		(4,211,055)	(4,495,084)
სხვა საქონელსა და მომსახურებაზე გადახდილი ფული		(242,254)	(19,579)
ბანკის ხარჯი		(3,338)	(4,190)
იჯარის და დაცვის ხარჯი		(605,838)	(527,270)
გადახდილი გადასახადები		(1,325,898)	(1,778,346)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		1,503,251	2,485,080
გადახდილი პროცენტები	25	(321,713)	(512,402)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		1,181,538	1,972,678
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფული		(1,363,118)	(1,084,119)
გაცემული სესხები		718,859	499,429
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		(644,259)	(584,690)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება		-	250,000
სესხის დაფარვა	25	(385,207)	(1,371,503)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(66,141)	(146,791)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან		(451,348)	(1,268,294)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		85,931	119,694
ფული ხელზე და ბანკის ანგარიშზე საწყისი ნაშთი		651,476	547,281
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა		(10,966)	(15,499)
ფული ხელზე და ბანკის ანგარიშზე საბოლოო ნაშთი		726,441	651,476

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან 11-30 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ანტრე 2008 ("კომპანია") დაარსდა 2008 წლის 4 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საიდენტიფიკაციო კოდი: 204549792) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კომპანია ფუნქციონირებს, როგორც საცხოვრების ქსელი და ყიდის სხვადასხვა საკვებს, ძირითადად ფქვილეულისგან დამზადებულს, რომელსაც აქვს 15 კაფე თბილისში 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (2019 წლის 31 დეკემბერი: 15 კაფე).

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%- იანი წილის მფლობელი არის თამილა მაისურაძე (პირადი ნომერი: 01008000666).

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წლის განმავლობაში იყო 84 თანამშრომელი წარმოებაში და 300 თანამშრომელი მთლიან სტრუქტურაში (2019: 96 თანამშრომელი წარმოებაში და 230 თანამშრომელი მთლიან სტრუქტურაში).

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ჯანაშიას ქ. N28-ბ7.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა, რომელიც ჩინეთში 2019 წლის დეკემბერში გავრცელდა. კორონავირუსმა უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკასა და მსხვილ ფინანსურ ბაზრებზე.

მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღეს გარკვეული ზომები ეკონომიკაში კორონავირუსის გავლენის შესამსუბუქებლად. ეს ღონისძიებები, სხვა ზომებთან ერთად, მოიცავს, სესხების სუბსიდირებას პანდემიით დაზარალებული ინდუსტრიებისთვის და სამუშაოებო ანაზღაურებებს.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათი ლიკვიდობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისათვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში მზად არის გამოიყენოს ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად შესაბამისი ინსტრუმენტები.

აღნიშნულმა მოვლენებმა, შემდგომში შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის სამომავლო ოპერაციებზე და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრულად პროგნოზირება მიმდინარე პერიოდში რთულია. სამომავლო ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა და მისი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე შეიძლება განსხვავებული იყოს ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინისგან.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს შესაძლო სამომავლო გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის ამოქმედების თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიამ მოამზადა საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მსს ფასს-ის საფუძველზე ამ თარიღისთვის.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ვინაიდან მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ვალუტა უფრო მისაღებია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლისათვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ერთეულ ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-19 შენიშვნაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი და ერთი ევრო 3.2095 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწევისთანავე.

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობა-ნაგებობები	- 25 - 40 წელი
მანქანა-დანადგარები	- 8 - 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 8 - 10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 6 - 7 წელი
საოფისე ინვენტარი და სხვა	- 4 - 5 წელი
სხვა	- 2 - 5 წელი

ვინაიდან შეუძლებელია მიწის სასრული გამოყენების ვადის დადგენა, შესაბამისი საბალანსო ღირებულებაც ცვთას არ ექვემდებარება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის საფუძველზე, შესაბამისად:

პროგრამული უზრუნველყოფა	- 3-5 წელი
პატენტები	- 10 წელი
სხვა	- 6-7 წელი

ყველა სამეცნიერო-კვლევითი და განვითარების ღირებულება აღიარდება როგორც ხარჯი, თუ ეს დანახარჯები არ წარმოადგენს სხვა აქტივის თვითღირებულების ნაწილს, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.4 ძირითადი საშუალების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულება არის, აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებას და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უმცირესი. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, იგი უნდა შემცირდეს ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხარჯის სახით დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი ასახულია გადაფასებული თანხით, რა შემთხვევაშიც გაუფასურების ზარალი აღიარდება როგორც ჩამოფასება.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში ამობრუნდება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადაფასებულ ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც დადგენილი იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისათვის გაუფასურების გარეშე წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემობრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება როგორც შემოსავალი.

3.5 იჯარა

იჯარა, რომელშიც არსებითად ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი ეკუთვნის მეიჯარეს, კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის დროს განხორციელებული გადახდები (გამქირავებლისგან მიღებული წახალისების გარეშე) აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი დარიცხვის მეთოდით იჯარის პერიოდისათვის.

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, თუ არსებითად ყველა რისკი და სარგებელი გადადის კომპანიის საკუთრებაში. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე, იჯარით გაცემული ქონების სამართლიან ღირებულებასა და იჯარის მინიმალური გადახდების დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. შესაბამისი ღირებულება აღიარდება როგორც ფინანსური საიჯარო ვალდებულება.

ცვთის მეთოდები და ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შესაბამისად იმ მეთოდებს რაც გამოიყენება შესაბამისი აქტივებზე, რომლებიც

იურიდიულად არის კომპანიის საკუთრებაში. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულებები მცირდება იჯარის გადახდებსა და ფინანსურ ხარჯებს შორის სხვაობით, რომლებიც ხარჯში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯის ნაწილი.

საიჯარო გადასახადების საპროცენტო ნაწილი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რათა წარმოდგენდეს დარჩენილი კაპიტალის ნაშთის მუდმივ ნაწილს, და ირიცხება მოგება-ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული საზარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან. მზა პროდუქციის ღირებულება მოიცავს შეფუთვის ხარჯებს, ნედლეულს, სათადარიგო ნაწილებს და სხვა პირდაპირ ხარჯებს და მასთან დაკავშირებულ წარმოების ხარჯებს.

კომპანიის პოლიტიკის თანახმად, ყოველი დღის ბოლოს მზა საქონლის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასად (ეს მოიცავს გარიგების ღირებულებას, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საწყისი შეფასებისა, რომელიც აღიარდება რეალური ღირებულებით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით). ხოლო თუ შეთანხმება მოიცავს ფინანსურ ოპერაციას, მაშინ ის აღიარდება მომავალი გადახდების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

პირველადი აღიარების შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი აჭარბებს ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ანაზღაურებადი. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალურ საკრედიტო პირობებში არიან და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად (ანუ ბანკისათვის გადასახდელი ფულადი სახსრების ამჟამინდელი ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და შედის ფინანსურ ხარჯებში.

3.8 ფულადი სახსრები და ფულის ეკვივალენტები

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს საღაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.9 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს პარტნიორთა შენატანს კომპანიის კაპიტალში. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები კომპანიის წესდებში ხორციელდება კომპანიის პარტნიორების მიერ.

დაგროვილი მოგება/(ზარალი) შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.10 ანარიცხები

რესტრუქტურიზაციის ხარჯების ანარიცხები და სამართლებრივი მოთხოვნები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების გადასახდელად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. რესტრუქტურიზაციის ანარიცხები მოიცავს იჯარის შეწყვეტის ჯარიმებს და თანამშრომლების შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელოებს. რეზერვები არ არის აღიარებული მომავალი საოპერაციო ზარალისთვის.

3.11 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან, („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“) რომელიც გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ გადასახადს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორატიულ საშემოსავლო გადასახადს განაწილებულ მოგებაზე (აქციონერებზე განაწილებული მოგება დივიდენდების სახით) და ინდივიდუალურ გარიგებებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არალეგალური საზღვრისპირა ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას და სხვა).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას, ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად, გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს-ის 29-ე განყოფილებით „მოგების გადასახადი“ არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.12 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

როდესაც დაქირავებულმა პირმა რომელიმე საადრისვე პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.
- (b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.13 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს საქონლის გასაყიდად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას კომპანიის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას. შემოსავალი ნაჩვენებია გაყიდვების/დამატებული ღირებულების გადასახადის, დეკლარაციების, ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც: შემოსავლის ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ; მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილება კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ:

საქონლის გაყიდვა - საცალო

კომპანია ფუნქციონირებს როგორც საცხოვრების ქსელი, რომელიც ყიდის სხვადასხვა სახის ფქვილზე დაფუძნებულ საკვებს. საქონლის გაყიდვა აღიარდება, როდესაც საწარმო ყიდის პროდუქტს მომხმარებელზე, რადგანაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე იმ დღეს, როდესაც ხდება გარიგება. საცალო გაყიდვები ჩვეულებრივ ხდება ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
თვითღირებულება									
2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	302,166	1,711,685	2,601,260	506,995	910,604	105,982	1,939,261	898,526	8,976,479
შემოსვლა	-	42,609	275,433	76,005	115,896	196,939	409,589	168,989	1,285,460
გასვლა	-	-	-	-	-	(93,270)	-	-	(93,270)
2019 წლის 31 დეკემბერი	302,166	1,754,294	2,876,693	583,000	1,026,500	209,651	2,348,850	1,067,515	10,168,669
შემოსვლა	-	266,669	277,740	80,934	52,964	-	520,362	166,019	1,364,688
გასვლა	-	-	-	-	-	-	(145,843)	(1,000)	(146,843)
2020 წლის 31 დეკემბერი	302,166	2,020,963	3,154,433	663,934	1,079,464	209,651	2,723,369	1,232,534	11,386,514
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება									
2019 წლის 1 იანვარი	-	149,771	1,869,103	348,946	599,339	105,982	1,020,133	785,263	4,878,537
წლის ცვეთა	-	68,832	256,246	64,604	41,599	11,488	271,407	131,443	845,619
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	(93,270)	-	-	(93,270)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	218,603	2,125,349	413,550	640,938	24,200	1,291,540	916,706	5,630,886
წლის ცვეთა	-	76,838	278,784	72,846	50,762	19,694	287,487	158,304	944,715
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	(145,843)	-	(145,843)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	295,441	2,404,133	486,396	691,700	43,894	1,433,184	1,075,010	6,429,758
საბალანდო ღირებულება									
2019 წლის 31 დეკემბერი	302,166	1,535,691	751,344	169,450	385,562	185,451	1,057,310	150,809	4,537,783
2020 წლის 31 დეკემბერი	302,166	1,725,522	750,300	177,538	387,764	165,757	1,290,185	157,524	4,956,756

2020 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 4,956,756 ლარი დაგირავებულ იქნა სესხის ვალდებულებების უზრუნველყოფისათვის. (2019 წლის 31 დეკემბერი: 4,537,783ლარი)

ცვეთის ხარჯის დარიცხვა მოხდა შემდეგნაირად:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	165,232	160,809
გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი	415,085	381,810
ადმინისტრაციული ხარჯი	364,398	303,000
	944,715	845,619

5 არამატერიალური აქტივები

ლარი	პატენტი	პროგრამული უზრუნველყოფა	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2019 წლის 1 იანვარი	1,329	13,196	2,557	17,082
შემოსვლა	-	339	-	339
გასვლა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	1,329	13,535	2,557	17,421
შემოსვლა	-	169	-	169
გასვლა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	1,329	13,704	2,557	17,590
დაგროვილი ამორტიზაცია				
2019 წლის 1 იანვარი	199	5,157	1,578	6,934
წლის ხარჯი	199	2,925	243	3,367
2019 წლის 31 დეკემბერი	398	8,082	1,821	10,301
წლის ხარჯი	199	2,925	243	3,367
2020 წლის 31 დეკემბერი	597	11,007	2,064	13,668
საბალანსო ღირებულება				
2019 წლის 31 დეკემბერი	931	5,453	736	7,120
2020 წლის 31 დეკემბერი	732	2,697	493	3,922

ამორტიზაციის ხარჯები აღირიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებში;

6 გაცემული სესხები

ლარი	ვადა	საპროცენტო განაკვეთი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დაკავშირებული მხარეების ნასესხები სახსრები	31-დეკ-26	20%	2,383,572	2,918,819
			2,383,572	2,918,819

7 მარაგები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული	204,370	197,277
შესაფუთი მასალები და სათადარიგო ნაწილები	61,749	59,021
სხვა მარაგები	187	112
	266,306	256,410

მარაგების ღირებულება, რომელიც აღიარდა რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულების ხარჯად პერიოდის განმავლობაში შეადგენს 7,599,934 ლარს (2019 წელი: 9,228,811 ლარი)

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო მოთხოვნები	37,711	84,957
	37,711	84,957
<i>არაფინანსური აქტივები</i>		
ავანსები და წინასწარი გადახდები	28,397	51,691
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	39,428	-
	105,536	136,648

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია როგორც დაახლოებითი სამართლიანი ღირებულება.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მოთხოვნები სახელმწიფო ბიუჯეტიდან არის სრულად ანაზღაურებადი.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების ინდიკატორების მიმართ განხილულია შესაძარის პერიოდთან მიმართებაში.

იხილეთ შენიშვნა 21(ა) იმ ვალუტების შესახებ. რომლებშიც არის დენომინირებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	679,863	651,296
ფული საბანკო ანგარიშებზე	46,578	180
	726,441	651,476

იხილეთ შენიშვნა 21 (ა) იმ ვალუტების შესახებ. რომლებშიც არის დენომინირებული ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე.

10 სესხები

ლარი			მიმდინარე		გრძელვადიანი	
			2020	2019	2020	2019
			წლის 31	წლის 31	წლის 31	წლის 31
	ვადა	ვალუტა	დეკემბერი	დეკემბერი	დეკემბერი	დეკემბერი
უზრუნველყოფილი ბანკის სესხები						
#1823401-2601199	25-05-21	USD	111,168	468,160	725,868	376,147
#1823401-2730627	25-10-21	USD	93,021	199,561	262,911	169,768
#1823401-10745849	21-11-21	GEL	250,575	250,599	-	-
#1823401-7941740	25-04-22	GEL	22,377	42,529	73,478	64,515
#1823401-8158747	25-12-22	GEL	22,554	40,070	100,849	92,463
#1823401-9472330	25-12-22	GEL	29,436	69,243	198,374	167,155
#1823401-9737411	25-06-23	USD	146,605	58,070	1,517,849	1,416,200
#1823401-10199588	20-11-23	GEL	21,292	42,762	161,552	143,206
#1823401-10200348	20-11-23	GEL	21,576	59,298	257,564	219,655
#1823401-8677017	25-12-23	GEL	43,598	118,283	492,828	433,536
#1823401-9061816	23-07-27	GEL	28,910	18,128	160,111	173,502
#1823401-9061791	23-07-27	GEL	24,684	21,577	199,806	203,382
			815,796	1,388,280	4,151,190	3,459,529

ბანკის სესხის ვადა მერყეობს 1-დან 8 წლამდე და აქვს წლიური საშუალო მეწონილი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 9,15% და მცოცავი საპროცენტო განაკვეთი 11,95%, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთებთან (2019: ფიქსირებული განაკვეთი 13,83% და საშუალო წლიური მცოცავი სავალუტო კურსი 11,78%).

სს თიბისი ბანკის სესხი დენომინირებულია ქართულ ლარსა და აშშ დოლარში, წლიური საპროცენტო განაკვეთით 3.5%-7.5% + მონეტარული განაკვეთი და უზრუნველყოფილია ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 4)

სს თიბისი ბანკთან სასესხო ხელშეკრულებები განსაზღვრავს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს ფინანსურ მაჩვენებლებზე:

- ვალის დაფარვის კოეფიციენტი (DSCR) (გაანგარიშებული საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადიდან) უნდა იყოს 1.2:1.0-ზე ნაკლები;
- DSCR (გაანგარიშებული EBITDA-დან) უნდა იყოს 1.5:1.0-ზე მეტი;
- ვალის EBITDA-სთან შეფარდების კოეფიციენტი უნდა იყოს 300%-ზე მეტი;
- DSCR (გაანგარიშებული EBITDA-სა და კაპიტალური აქტივების შენარჩუნების ხარჯების სხვაობის მიხედვით) არ უნდა იყოს ნაკლები 1.3:1.0-ზე;
- პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR) კოეფიციენტი არ უნდა იყოს 3.0:1.0-ზე ნაკლები;
- DSCR (CFADS) (გაანგარიშებული EBITDA-სა და საბრუნავი კაპიტალის წმინდა ცვლილებას შორის სხვაობით) უნდა იყოს 1.05:1.0-ზე მეტი;

ასევე განსაზღვრულია შემზღუდველი პირობები არაფინანსური მაჩვენებლებისთვის:

- კომპანიამ უნდა დაფაროს საგადასახადო ვალდებულებები წარმოშობის თარიღიდან 30 დღის ვადაში;

ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე კომპანიას არ შეუძლია განახორციელოს:

- საიჯარო ხელშეკრულების დადება;
- მის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებების გასხვისება, იჯარით ან სხვაგვარად გაცემა;
- განახორციელოს კაპიტალური ხარჯები ან ინვესტიციები სხვა კომპანიაში;
- დივიდენდის გაცემა;
- სესხის გაცემა;

კომპანია ვერ აკმაყოფილებდა 12-დან 4 შემზღუდველ პირობას. კომპანიამ მოიპოვა ბანკის ოფიციალური წერილი (Waiver letter), რომელიც ადასტურებს რომ თიბისი ბანკი ფლობს ინფორმაციას შემზღუდველი პირობების დაუკმაყოფილებლობის შესახებ და მიუხედავად ამისა, არ მოითხოვს მის მიმართ არსებული ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვას.

იხილეთ შენიშვნა 21 იმ ვალუტებისთვის, რომლებშიც დენომინირებულია სესხები.

11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,748,070	1,538,865
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	243,535	360,846
მიღებული ავანსები	228	3,031
ბიუჯეტში მიმდინარე გადასახდელები	420	5,334
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	-	372,331
სხვა ვალდებულებები	5,046	3,100
	1,997,299	2,283,507

კომპანიას გააჩნია ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების დაფარვა საკრედიტო ვადაში.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 21 კომპანიის უცხოური ვალუტის რისკების შესახებ.

12 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გამოყენებული მასალები	7,599,934	9,228,811
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი	1,097,876	1,279,827
კომუნალური ხარჯი	221,247	238,557
ცვეთის ხარჯი	165,232	160,809
სხვა ხარჯი	136	1,556
	9,084,425	10,909,560

13 სხვა შემოსავალი

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
Covid-19-თან დაკავშირებული შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტიდან	535,155	-
სხვა შემოსავალი	194	825
	535,349	825

14 გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი	1,441,375	1,746,426
იჯარის ხარჯი	1,018,355	1,198,040
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	415,085	381,810
კომუნალური ხარჯი	124,240	161,774
საწვავის ხარჯი	73,419	89,464
დაცვის ხარჯი	61,607	60,960
მარკეტინგული ხარჯი	771	9,452
	3,134,852	3,647,926

15 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
დასაქმებულთა გასამრჯელოს ხარჯი	1,030,559	1,203,053
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	367,765	306,367
იჯარის ხარჯი	220,601	182,850
ბანკის ხარჯი	164,698	231,297
ოფისის ხარჯი	137,022	122,117
აუდიტის, კონსულტაციისა და იურიდიული მომსახურების ხარჯი	94,425	103,634
შეკეთებისა და მოვლის ხარჯი	88,836	114,688
საპენსიო შენატანის ხარჯი	65,731	77,242
კომუნალური ხარჯი	52,880	61,446
სხვა	136,807	185,449
	2,359,324	2,588,143

16 ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი საბანკო სესხებზე	(462,474)	(521,495)
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული მხარეების სესხებიდან	214,607	285,821
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი)	(247,867)	(235,674)

17 საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	(790)	13
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	(368,683)	(220,816)
	(369,473)	(220,803)

18 შემდგომი მოვლენები

სააგნარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და დაფარა სესხების ძირი და პროცენტი 835,857 ლარის ოდენობით (კომპანიის მიერ დაფარული სესხები: #1823401-8677017, #1823401-9061791, #1823401-8158747).

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასების პროცესში და დაფუძნებულია ისტორიულ გამოცდილებაზე. ამასთან, გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მოსალოდნელი მოვლენები და სხვა მოლოდინები, რაც სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი შესწორებების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო მომსახურების ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

მარაგები

მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის არსებული ყველაზე სანდო მტკიცებულების გათვალისწინებით. აღნიშნული მარაგების მომავალში რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს მომავალმა ტექნოლოგიამ ან ბაზარზე ორიენტირებულმა სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვების ფასები.

19.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

როგორც შენიშვნა 1-შია აღწერილი, 2020 წლის დასაწყისში COVID-19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკაზე.

ამ ეტაპზე კომპანიის ბიზნესსა და შედეგებზე გავლენა შეზღუდულია. კომპანია აგრძელებს სხვადასხვა ეროვნული ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული რჩევების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-მა გავლენა მოახდინა გამყიდველების უმრავლესობაზე გაყიდვების შემცირებით, კომპანიამ შეინარჩუნა სტაბილურობა მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე.

ამ დროისთვის ცნობილ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით, ასევე კოვიდ-19 ვირუსის განვითარების შესაძლო სცენარების გათვალისწინებითა და სახელმწიფოსგან მიღებული ზომების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მას არ ექნება მატერიალური გავლენა კომპანიის საქმიანობაზე, რადგან ახალი ვაქცინა ფართოდ არის ხელმისაწვდომი, რაც დაეხმარება სახელმწიფოს შეამციროს და საბოლოოდ გაუმკლავდეს კოვიდ-19-ის გავრცელებას და რომ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური აქტივობა ნორმალურ დონეზე დაბრუნდეს გონივრულად მოკლე დროში. ამრიგად, ადგილობრივმა მთავრობამ არ უნდა გამოაცხადოს გრძელვადიანი ჩაკეტვა (ლოქდაუნი) წინა წლის მსგავსად, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს შეასრულოს თავისი ვალდებულება და გააგრძელოს ბიზნესი ბრუნვის მნიშვნელოვანი ვარდნის გარეშე.

ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს საქმიანობას მოქმედი საწარმოს პრინციპით.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,711	84,957
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	726,441	651,476
გაცემული სესხები	2,383,572	2,918,819
სულ ფინანსური აქტივები	3,147,724	3,655,252

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულება		
სესხები	4,966,986	4,847,809
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,997,299	1,911,176
საიჯარო ვალდებულებები	-	59,883
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,964,285	6,818,868

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია ახორციელებს ტრანზაქციების გარკვეულ ნაწილს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული		
2020 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,857,421	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	2,040
	2,857,421	2,040
წმინდა პოზიცია	(2,857,421)	(2,040)

ერთეული		
2019 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	162	9
	162	9
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,688,406	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	498
	2,688,406	498
წმინდა პოზიცია	(2,688,244)	(489)

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზემოქმედება წარმოდგენილია შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებით:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
გაცემული სესხები	2,383,572	2,918,819
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,711	84,957
ფული საბანკო ანგარიშზე	46,578	180
	2,467,861	3,003,956

ზემოთ აღნიშნული ანალიზი აჩვენებს, რომ კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ გაცემული სესხიდან. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ისინი შეასრულებენ სესხის დაფარვასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას და არ არსებობს ამ აქტივის გაუფასურების ფაქტობრივი მნიშვნელოვანი რისკი.

საკრედიტო რისკი ფულადი სახსრებისა და ეკვივალენტებისათვის ითვლება უმნიშვნელოდ, რადგან კონტრაგენტები არიან რეპუტაციის მქონე ბანკები.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარტული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილი იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების დაფარვა. ცხრილი შეიცავს ფულადი ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2020	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		11.95%	9.15%	
6 თვეზე ნაკლები	1,991,603	336,350	134,383	2,462,336
6 თვიდან 1 წლამდე	5,696	562,762	134,622	703,080
1-5 წლამდე	-	3,364,316	1,095,914	4,460,230
5 წელზე მეტი	-	667,943	-	667,943
	1,997,299	4,931,371	1,364,919	8,293,589

2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		11.78%	13.83%	
6 თვეზე ნაკლები	1,899,711	137,722	141,408	2,178,841
6 თვიდან 1 წლამდე	11,465	289,641	114,266	415,372
1-5 წლამდე	-	3,461,982	1,194,585	4,656,567
5 წელზე მეტი	-	1,210,130	-	1,210,130
	1,911,176	5,099,475	1,450,259	8,460,910

ლიკვიდურობის რისკის შეფასებით და მართვით კომპანია საზღვრავს მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან. კომპანიის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები აჭარბებს მიმდინარე ფულის გადინების მოთხოვნებს.

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია მართავს კაპიტალს ისე, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებისათვის ადეკვატური უკუგების ჩვენება.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, დაგროვილ მოგებას და ვალს, რომელიც შედგება სესხებისგან და რომელიც წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში. კომპანიის მიერ კაპიტალის სახით მართული თანხები საანგარიშო პერიოდისათვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

კომპანია აკონტროლებს კაპიტალს “წმინდა ვალი“-სა და “კორექტირებული საკუთარი კაპიტალი“-ს თანაფარდობით:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
წმინდა ვალი		
სესხები	4,966,986	4,847,809
მინუს: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(726,441)	(651,476)
	4,240,545	4,196,333
კორექტირებული საკუთარი კაპიტალი		
სულ საკუთარი კაპიტალი	1,578,903	1,345,132
პლუს: სუბორდინირებული სესხი	-	-
	1,578,903	1,345,132
თანაფარდობა წმინდა ვალსა და კორექტირებულ საკუთარ კაპიტალს შორის	2.69	3.12

23 პირობითი ვალდებულებები

23.1 საოპერაციო იჯარის ვალდებულება

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა კაფეს ფართებს, ოფისებსა და საწყობებს არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებით. იჯარის ვადა არის 5-დან 10 წლამდე პერიოდის. იჯარის ხელშეკრულებების უმეტესობა განახლდება იჯარის პერიოდის ბოლოს საბაზრო განაკვეთით. კომპანიას არ აქვს იჯარით აღებული აქტივის შესყიდვის შესაძლებლობა იჯარის პერიოდის გასვლის შემდეგ.

ქვემოთ წარმოდგენილია სამომავლო მინიმალური საიჯარო გადახდები არაგაუქმებადი საოპერაციო იჯარებისთვის:

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	1,223,923	1,120,830
1-დან 5 წლამდე	6,153,020	5,906,550
5 წლის შემდეგ	1,291,431	1,984,629
	8,668,374	9,012,009

24 გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპისთვის არ აქვს დაზღვეული უძრავი ქონება, ბიზნესის შეფერხების რისკები, ან მესამე მხარის მიმართ პასუხისმგებლობა ქონების ან გარემოს დაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება მომხდარი უბედური შემთხვევის ან საოპერაციო საქმიანობის პროცესში. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკრგვას ან განადგურებას, ან გარემოსთვის ზიანის მიყენებას ექნება არსებითად უარყოფითი გავლენა კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

24.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

24.3 გარემოს დაცვა

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა, საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

25 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ცვლილებები ვალდებულებებში შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2019 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	4,409,852	1,331,639	5,741,491
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
შემოსვლა	-	250,000	250,000
გადახდა	(340,287)	(1,543,618)	(1,883,905)
არაფულადი ცვლილებები:			
დარიცხული პროცენტი	372,153	149,342	521,495
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	156,091	62,637	218,728
რეკლასიფიკაცია	(1,138,280)	1,138,280	-
2019 წლის 31 დეკემბერი	3,459,529	1,388,280	4,847,809
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
შემოსვლა	-	-	-
გადახდა	(127,690)	(579,230)	(706,920)
არაფულადი ცვლილებები:			
დარიცხული პროცენტი	386,516	75,958	462,474
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	300,682	62,941	363,623
რეკლასიფიკაცია	132,153	(132,153)	-
2020 წლის 31 დეკემბერი	4,151,190	815,796	4,966,986

26 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა;

26.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიას აკონტროლებს თამილა მაისურაძე, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100%.

26.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები.

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები		
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		
საპროცენტო შემოსავლი	214,607	285,821
საოპერაციო იჯარის ხარჯი	156,802	17,512

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები		
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან		
გაცემული სესხები	2,383,572	2,918,819
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,553	-

26.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და ახლო ოჯახის წევრებთან

ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო ანაზღაურება, რომელიც შედის სახელფასო და დასაქმებულთა სარგებელში.

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	479,919	334,469

27 შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2020 წლის 31 დეკემბრის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა ხარვეზები შესადარის ინფორმაციაში, რომელიც უკავშირდება ქვემოთ აღნიშნულ ნაშთებს 2019 წლის 31 დეკემბრის, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობებით და უზუსტობის გამოსასწორებლად გადაანგარიშდა შესაბამისი ინფორმაცია.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარსადგენად, კომპანიამ გადაწყვიტა შეცვალოს კლასიფიკაცია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ზოგიერთ პუნქტში.

შემდეგი ცხრილები აჩვენებს 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და 2019 წლის პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში განხორციელებულ შესწორებებს:

2019 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,571,788	(34,005)	4,537,783
არამატერიალური აქტივები	7,120	-	7,120
გაცემული სესხები	2,991,082	(72,263)	2,918,819
	7,569,990	(106,268)	7,463,722
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	256,410	-	256,410
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	150,999	(14,351)	136,648
სხვა მიმდინარე აქტივები	29,244	-	29,244
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	651,476	-	651,476
	1,088,128	(14,351)	1,073,778
სულ აქტივები	8,658,118	(120,619)	8,537,500
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	200	-	200
აკუმულირებული მოგება	1,492,441	(147,509)	1,344,932
	1,492,641	(147,509)	1,345,132
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	4,588,715	(1,129,186)	3,459,529
	4,588,715	(1,129,186)	3,459,529
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,265,710	17,797	2,283,507
სესხები	250,000	1,138,280	1,388,280
საიჯარო ვალდებულებები	59,883	-	59,883
მიმდინარე მოგების გადასახადი	1,169	-	1,169
	2,576,762	1,156,077	3,732,839
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	8,658,118	(120,619)	8,537,500

2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,129,814	(31,872)	4,097,942
არამატერიალური აქტივები	10,149	-	10,149
გაცემული სესხები	3,245,959	(72,263)	3,173,695
	7,385,922	(104,136)	7,281,786
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	228,174	-	228,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	143,821	(14,351)	129,470
სხვა მიმდინარე აქტივები	24,420	-	24,420
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	547,281	-	547,281
	943,696	(14,351)	929,345
სულ აქტივები	8,329,618	(118,487)	8,211,131
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	200	-	200
აკუმულირებული მოგება	811,232	(136,283)	674,949
	811,432	(136,283)	675,149
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	5,491,491	(1,081,639)	4,409,852
	5,491,491	(1,081,639)	4,409,852
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,772,710	17,796	1,790,506
სესხები	250,000	1,081,639	1,331,639
მიმდინარე მოგების გადასახადი	3,985	-	3,985
	2,026,695	1,099,435	3,126,130
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	8,329,618	(118,487)	8,211,131

2019 წლის 31 დეკემბრის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად::

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი (აღრე წარდგენილი)	შესწორებები	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
შემოსავალი	18,332,134	(44,173)	18,287,961
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,457,991)	(1,451,569)	(10,909,560)
მთლიანი მოგება/(ზარალი)	8,874,143	(1,495,741)	7,378,401
სხვა შემოსავალი	825	-	825
სავაჭრო და მარკეტინგული ხარჯები	(1,207,492)	(2,440,434)	(3,647,926)
ადმინისტრაციული ხარჯები	(6,598,935)	4,010,792	(2,588,143)
სხვა ხარჯები	(107,465)	(76,749)	(184,215)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგები	961,074	(2,132)	958,942
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯები)	(226,580)	(9,093)	(235,674)
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(220,803)	-	(220,803)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)	167,518	-	167,518
	681,209	(11,226)	669,983
მოგების გადასახადი (ხარჯი)/აღდგენა	-	-	-
წლის მოგება/(ზარალი)	681,209	(11,226)	669,983
წლის მთლიანი სრული მოგება	681,209	(11,226)	669,983

მმართველობის ანგარიშგება
2020 წელი

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება “ანტრე 2008“



თბილისი, 2021 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა	34
2. განვითარების სტრატეგია	37
3. ჩატარებული კვლევები	38
4. ფინანსური ინფორმაცია	38
5. ფინანსური რისკების მართვა	39

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანტრე 2008“-ის მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

25 ოქტომბერი 2021 წ

ევგენი ფიჩხაია

დირექტორი

შპს „ანტრე 2008“

1. საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია „ანტრე 2008“ (შემდგომში - კომპანია ან ანტრე) (საიდენტიფიკაციო კოდი - 204549792) დაარსდა 2008 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით და თამილა მაისურაძის 100% წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით - 200 ლარი.

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის თამილა მაისურაძე, ხოლო აღმასრულებელი დირექტორია ევგენი ფიჩხაია, რომელიც მართავს კომპანიას.

სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, აღრიცხვების განყოფილება, ხარისხის მართვის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, IT განყოფილება, ინკასაციისა და უსაფრთხოების განყოფილება, სასაქონლო მარაგების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ზედა რგოლის მენეჯმენტს წარმოადგენენ რეგიონული მენეჯერები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფილიალების გამართულ მუშაობაზე. ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ანტრე 2008“-ის მისიაა დაამკვიდროს მაღალი სამომხმარებლო სტანდარტი ქსელური ტიპის საკვების ობიექტების სეგმენტში, რაც გამოიხატება პროდუქციის მაღალ ხარისხში, მის ორიგინალურობაში, მომსახურების სიზუსტესა და წამყვანი პერსონალის კვალიფიკაციაში. კომპანია პოზიციონირებს როგორც გურმანული კაფეტერიების ქსელი. კომპანიის არსებობის მთავარი პრინციპია შექმნას მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და გემრიელი პროდუქტი.

შპს ანტრე 2008 - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2020	2019	ცვლ. (%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	14,965,969	18,287,961	-18.16%
საერთო მოგება	5,881,544	7,378,401	-20.29%
საოპერაციო მოგება	834,434	958,942	-12.98%
წლის მოგება	233,771	669,983	-65.1%
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2020	2019	ცვლ. (%)
სულ აქტივები	8,543,188	8,537,500	+0.07%
სულ ვალდებულებები	6,964,285	7,192,368	-3.17%
სულ კაპიტალი	1,578,903	1,345,132	+17.38%
ფინანსური მაჩვენებლები	2020	2019	ცვლ. (%)
საერთო მოგების მარჟა (%)	39.30%	40.35%	-2.60%
საოპერაციო მოგების მარჟა (%)	5.58%	5.24%	+0.33%
მოგების მარჟა (%)	1.56%	3.66%	-2.1%
არაფინანსური მაჩვენებლები	2020	2019	ცვლ. (%)
დასაქმებულთა რაოდენობა	230	300	-0.33%

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს საცალო გაყიდვებს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე და მარკეტინგულ მომსახურებას.

2020 წელს რეალიზაცია შემცირდა 18.16% 2019 წელთან შედარებით, რაც დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ COVID-19 პანდემიასთან. შემცირდა ნედლეულის შესყიდვები. ასევე მეიჯარეებთან გაფორმდა დამატებითი შეთანხმებები, რამაც გამოიწვია მოკლევადიანი საოპერაციო ვალდებულებების შემცირება. ასევე გადავადებული საბანკო სასესხო ვალდებულებების გამო შემცირდა 2020 წლის საპროცენტო ხარჯიც.

კაპიტალის ზრდა განაპირობა წლის მოგებამ.

გრძელვადიანი აქტივების კლება გამოწვეულია ახალი აქტივების შესყიდვებისა და ცვეთის ხარჯების სხვაობით.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კვების პროდუქტების წარმოება-რეალიზაცია. ფრანგული პურ-ფუნთუშეულის, ღვეხელების, სენდვიჩების, სალათების, სუპების, ცხელი კერძების, საკონდიტრო ნაწარმისა და ხილის სალათების გარდა ანტრე სთავაზობს მომხმარებელს ევროპულ საუზმეებს და ფრანგულ კრუსანებს. საკვების სფეროში 13-წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს 15 კაფეს და ადმინისტრაციულ ოფისს.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და მაღალი ხარისხის ნედლეულის სტაბილური მომწოდებლები. კაფე ანტრესთვის საჭირო ინგრედიენტებით, მომსახურებით და პროდუქტით მომარაგება ანტრეს წარმოების შეუფერხებელ და უწყვეტ ფუნქციონერებას უზრუნველყოფს.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის, ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

ანტრე მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

კომპანიის მთავარი ფასეულობაა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიწოდება მომხმარებელზე. კომპანიის პრინციპია ქართულ ბაზარზე დაამკვიდროს მომსახურების მაღალი სტანდარტი და ჯანსაღი საკვები პროდუქტებით მომხმარებლის უზრუნველყოფა. ანტრე ზრუნავს მომხმარებლისათვის კომფორტული, მყუდრო გარემოს შექმნაზე.

ბრენდის განვითარების მხრივ სისტემატური ზრუნვის საგანია თამამი გადაწყვეტილებების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა მაგალითად მომხმარებლისათვის სრულიად ახალი პროდუქტის გაცნობა, ჯანმრთელი საკვების წარმოება და პოპულარიზაცია.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (საწყობო-გაყიდვები-შესყიდვები-ადმინისტრაცია).

კომერციულ განყოფილებაში ფუნქციონირებს მარაგების ანალიზური კვლევის ჯგუფი, რომელიც მუდმივ რეჟიმში აკვირდება სასაქონლო მარაგების ბრუნვას და უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს განახორციელოს მათი ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება.

ანტრესტვის პრინციპულად მნიშვნელოვანია უზრუნველყოს დასაქმებულთათვის კომფორტული სამუშაო გარემოსა და ხელსაყრელი პირობების შექმნა. დასაქმებულთან ურთიერთობა რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ახალი კადრი გადის სტაჟირებას ორი კვირის ვადით, შემდეგ გამოსაცდელი სამთვიანი პერიოდის განმავლობაში უტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ყველა თანამშრომლისათვის კომპანიის მხრიდან ხდება მათზე მორგებული სამუშაო გრაფიკის შეთავაზება. დასაქმებულს აქვს უფლება მოითხოვოს კუთვნილი ანაზღაურება და ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით. დასაქმებული ვალდებულია პირნათლად შეასრულოს თანამდებობის შესაბამისად მასზე დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას სისუფთავე, უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება და ანტრეს გამართული ფუნქციონირება.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები), უტარდება ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

წლების განმავლობაში ანტრეს ჰყავს ერთგული მომხმარებელი მისი რეპუტაციისა და პროდუქციის მაღალი ხარისხის გამო. კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კლიენტთან ჩამოყალიბებულ ხანგრძლივ ურთიერთობებს. მომხმარებლის კმაყოფილებას იწვევს კონსულტანტის მხრიდან მისი რჩეული პროდუქციის დამახსოვრება და სიახლეების შეთავაზება.

ამჟამად დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 250 თანამშრომელს, რომელთათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა და განვითარება კომპანიის მუდმივი ზრუნვის საგანია. ინფორმაციისათვის 2019 წელს თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 230 ადამიანი, ხოლო 2020 წელს 300 ადამიანი.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად კაფე ანტრეს სტუმრებისა და თანამშრომლების მაქსიმალურ დაცვას.

ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები.

ანტრეს ხარისხის მართვის სამსახური ყოველდღიურად ამოწმებს პროდუქციის ხარისხის, ვარგისიანობის ვადების, შენახვის პირობების, სამზარეულოს სისუფთავის, პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ჰიგიენის შესაბამისობას კანონმდებლობასთან.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დროულ გაცნობას, დანერგვასა და ზედმიწევნით შესრულებას.

წარმოებაში რეგულარულად ხდება დანადგარების, ღუმელებისა და მაცივრების დასუფთავება-დეზინფექცია, ნარჩენების გატანა, საჭიროების შემთხვევაში ტექნიკის ჩანაცვლება-განახლება, შესაბამისი პერსონალის ტრენინგი.

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

ანტრეს წარმოება მოიცავს სხვადასხვა კატეგორიის პროდუქციას. 2019-2020 წლებში კატეგორიების მიხედვით წარმოებული პროდუქციის მიახლოებითი რაოდენობები შემდეგია:

	2020 წელი	2019 წელი
პურ-ფუნთუშეული	630,000	555,000
ფრანგული ფუნთუშეული	558,000	605,000
საცხობი	265,000	333,000
სენდვიჩები	481,000	584,000
სალათები	112,000	172,000
საკონდიტრო	615,000	657,000
ხილის წვენები	63,400	110,500
ხილის სალათები	23,200	60,000
ყავა, ჩაი	542,200	725,500
საუზმე	75,000	140,500
სადღესასწაულო	47,600	46,750
ცხელი კერძები და რესტორნის მენიუ	58,500	167,400

2020 წელს 2019 წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა წარმოებაში ადგილზე მისაღები პროდუქციის წილი და გაიზარდა გატანით შესაძენ პროდუქციაზე მოთხოვნა.

შეზღუდვების გამო დახურული კაფე-რესტორნები, მათ შორის ანტრეს გადავიდა „ფანჯრის“-პრინციპით მუშაობაზე. მოთხოვნის შემცირებამ გამოიწვია წარმოების შემცირებაც. იმისათვის, რომ თავიდან აგვერიდებინა კადრის შემცირება და დასაქმებულთა შემოსავლების გარეშე დატოვება, კომპანიამ შეიმუშავა წარმოების თანამშრომლების მცოცავი გრაფიკით მუშაობის სქემა. რასაკვირველია, გათვალისწინებულ იქნა კოვიდის რისკებიც და საწარმოო პერსონალის უფლებებიც.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ანტრეს დაარსების დღიდან ზრუნავს გარემოზე. კომპანიამ ერთ-ერთმა პირველმა დანერგა შესაფუთ მასალად ბიოდეგრადირებადი, მუყაოს ერთჯერადი ჭურჭლისა და ქაღალდის პარკების გამოყენება.

კომპანია უმეტესად იყენებს ელექტროენერგიას წარმოების პროცესში, თითქმის არ მოიხმარს ბუნებრივ აირს.

2. განვითარების სტრატეგია

კომპანია ანტრეს მთავარი კონცეფციაა უმაღლესი დონის, რესტორნის ხარისხის პროდუქციის მიწოდება ე.წ. ფასტფუდის - გამზადებულ ფორმატში. ანტრეს ყოველთვის მისდევს მსოფლიო ტენდენციებს ტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარების მომართულებით და განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს ასორტიმენტში. ამის დასტურია კაფეებში ვეგანური და კეტო პროდუქციის წარმოება.

უახლოეს მომავალში კომპანია გეგმავს ახალი ბრენდით ოპერირებას და ორი ობიექტის დამატებას თბილისში, რომელიც დივერსიფიცირებული იქნება ჰორეკას კუთხით. მიმდინარე წლის აპრილში ქ. თბილისში განხორციელდა მორიგი მასშტაბური ინვესტიცია, რომლის შედეგადაც გაიხსნა დახურული ტიპის რესტორან-კლუბი „მასკერარე“. ახალი ბრენდით ოპერირების საფუძველზე კომპანიას აქვს ყოველი მომდევნო წლის გაყიდვების 20 %-ით ზრდის მოლოდინი.

დამატებით დავძენთ, რომ კომპანიის მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, იძლევა სტაბილური და დინამიური განვითარების საფუძველს სამომავლოდ.

3. ჩატარებული კვლევები

კომპანიის შიდა კვლევებისა და დაკვირვებების შესაბამისად ხდება წარმოებული პროდუქციის გაყიდვების, მოთხოვნის და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ანალიზი.

ყოველთვიურ შეხვედრებზე განვიხილავთ წარმოების მენეჯერების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, თითოეული კატეგორიის პროდუქტის ხარისხში და ფასში შესატან ცვლილებებზე.

ასევე მენეჯერების მიერ ხდება პროდუქტის შესაბამისი გაყიდვების ანალიზი თვეებისა და წლების მიხედვით. არსებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება პროდუქტის ხარისხის შეცვლის ან ფასში ცვლილებების შეტანის და წარმოებული რაოდენობის ცვლილების შესახებ.

ამ ინფორმაციის ამსახველი დეტალური ანგარიშები მზადდება ინდივიდუალურად კატეგორიის მენეჯერების მიერ და წარედგინება ფინანსურ განყოფილებას. ამის შემდეგ ფინანსური განყოფილება დამუშავებულ ანგარიშს წარუდგენს დირექტორს ახალი გადაწყვეტილებების მიღების მიზნით.

2020 წლის გარემოებებიდან გამომდინარე ჩატარდა პროდუქციის სრული ასორტიმენტის ანალიზი და კონკრეტული მიზეზებიდან გამომდინარე წარმოებიდან ამოღებულ იქნა სხვადასხვა კატეგორიები: ნაყინი, პიცა და სუში. ასევე საგრძნობლად შემცირდა ადგილზე მისართმევი პროდუქტების რაოდენობა და მოთხოვნის შესაბამისად გაიზარდა პურ-ფუნთუშეულისა და საკონდიტროს წარმოება.

კომპანია მუდმივად შეისწავლის ბაზარზე არსებულ სიახლეებს და ცდილობს საკუთარ მომხმარებელს შესთავაზოს ინოვაციური პროდუქცია. ასე მაგალითად, ანტრემ პირველმა გამოიტანა გასაყიდად აქტივირებული ნახშირის პური, კეტო საუზმეები და ვეგანური სალათები.

ასევე ანტრეს უმაღლესი ხარისხის სადღესასწაულო პროდუქტი: გოზინაყი და „პასკა“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოთხოვნადი პროდუქტებია ბაზარზე.

4. ფინანსური ინფორმაცია

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს ამ კანონით განსაზღვრულ მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს.

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1,578,903 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 1,198,938 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 7,344,250 მილიონი ლარი.

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 1,345,132 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 1,073,778 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 7,463,722 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2020 წელს - 14,965,969 ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს - 18,287,961 ლარი.

2020 წლის სახელფასო ფონდმა 3.6 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს - 4.3 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2020 წელს გადახდილი აქვს 2.2 მილიონი ლარი, ხოლო 2019 წელს - 2.7 მილიონი ლარი.

2020 წლის მოკლევადიანი აქტივები შედგება ფულადი სახსრებისაგან, მარაგებისა და სხვა სავაჭრო მოთხოვნებისაგან, რაც 2019 წლის იგივე მონაცემებთან შედარებით შემცირებულია სავაჭრო მოთხოვნების შემცირების ხარჯზე.

გრძელვადიანი აქტივების შემცირება გამოიწვია გაცემული სესხის ძირის დაფარვამ. კომპანიის კაპიტალის ზრდა გამოიწვია წლის გაუნაწილებელმა მოგება.

2020 წლის ამონაგები, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შემცირებულია პანდემიისაგან გამოწვეული შეზღუდვების გამო.

ბიუჯეტის გადასახადებს შეეხო სახელმწიფო შეღავათები საშემოსავლოსა და ქონების გადასახადების კუთხით.

5. ფინანსური რისკების მართვა

რისკების კუთხით, დავასახელებთ Covid-19-ით გამოწვეულ ნეგატიურ მოვლენებს და მსოფლიო პანდემიას. თუმცა გასული წლისაგან განსხვავებით, როდესაც შოკური ეფექტი ჰქონდა ამ ყოველივეს, რამდენადაც აქამდე უცხო, გაურკვეველი და მასშტაბური გამოწვევების წინაშე იდგა მთელი მსოფლიო, წელს შეგვიძლია ვთქვათ რომ მიუხედავად კვლავ არასახარბიელო სიტუაციისა, ადაპტაცია-შეჩვევის ფაზა გავლილია. ჩვენ მოვახერხეთ და შევინარჩუნეთ პროდუქციის მომარაგების უწყვეტი ციკლი, არ გვქონია საკადრო პერსონალის შენარჩუნების მხრივ რაიმე პრობლემა და შედეგად სახეზე გვაქვს ზრდა შემოსავლების კუთხით, კერძოდ ამ მომენტისათვის მიმდინარე მონაცემებით შემოსავლების ჭრილში 2021 წლის გასული პერიოდის შედარებას თუ მოვახდენთ 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ამონაგების კუთხით გვაქვს 20%-იანი მატება.

ფინანსური რისკებიდან საყურადღებოა „ანტრე“-ს ფულადი სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და შესყიდული მარაგებისა და ნედლეულის რაოდენობრივ-თანხობრივი მაჩვენებელი. ფულის მოძრაობის ანგარიში დგება ყოველდღიურად მთ. ბუღალტრის მიერ და წარედგინება აღმასრულებელ დირექტორს. მხოლოდ მისი ბრძანებების შესაბამისად ხდება გადარიცხვებისა და გადახდების წარმოება. რაც შეეხება შესყიდვების წარმოებას, იგი ხდება ცენტრალიზებულად ლოჯისტიკის სამსახურის უფროსის მიერ, აღმასრულებელი დირექტორის პირადი კონტროლის ქვეშ.

საოპერაციო რისკია წარმოებაში გამოყენებული დანადგარების ტექნიკური გაუმართაობის გამო წარმოქმნილი შეფერხება, რის გამოც შესაძლებელია გარკვეული ზარალის მიღება. თუმცადა მუდმივად ხდება ძირითადი საშუალებების ტექნიკური დათვლაიერება და ხარვეზების აღმოფხვრა ან/და წარმოების გადატანა სხვა საწარმოო ობიექტზე ოპტიმალურ დროში. ასევე წარმოებაში რისკს წარმოადგენს ნედლეულის არასათანადო გახარჯვა, რასაც მუდმივად აკონტროლებს მენეჯერი და თვით აღმასრულებელი დირექტორიც კი.

კომერციული რისკებიდან ძირითადად გამოვყოფდით თანამშრომლების კეთილსინდისიერებას და კვალიფიკაციას. კადრის ხშირი ჩანაცვლება ახდენს გავლენას მომხმარებელთან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე, რაც თავის მხრივ აისახება გაყიდვებზე, ამიტომ რეგიონალური მენეჯერების მხრიდან სისტემატიურად ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები კადრის კვალიფიკაციისა და მოტივაციის ასამაღლებლად. ანტრეს თანამშრომელთა დაახლოებით 80% რჩება ჩვენი გუნდის სტაბილურ და ერთგული წევრად.

გარდა ამისა მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით ხდება წარმოებული პროდუქციის კონტროლი. ყოველკვირეულად ხდება სეზონის მიხედვით მოთხოვნადი პროდუქციის სიის ანალიზი, გადახედვა და განახლება. რაც უზრუნველყოფს დღის ბოლოს დარჩენილი გასაყიდი პროდუქციის დიდი რაოდენობით ნაშთის არსებობის რისკის შემცირებას. თუმცა დარჩენილი მზა პროდუქცია მიეწოდება უსასყიდლოდ სხვადასხვა ორგანიზაციებს.

კომპანიაში არსებული ფულადი სახსრების გასვლა კონტროლდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ. ყველა გადახდისა თუ გადარიცხვის მიზნობრიობას განიხილავს და ამტკიცებს დირექტორი დამფუძნებლის მეთვალყურეობის ქვეშ. შესაბამისად ფულადი ნაკადების რისკების არსებობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

შპს „ანტრე 2008“-ს აქვს საკრედიტო ხაზი თიბისი ბანკში. აღნიშნული ფინანსური სახსრებით ხდება კაფეების ინვესტირება, რაც მოიცავს ინტერიერის განახლებას, წარმოებაში გამოყენებული მანქანა-დანადგარების შეძენას, შენობების სათანადო კეთილმოწყობას და სხვა. ანტრე არის სუფთა საკრედიტო ისტორიის მქონე, გადახდისუნარიანი კომპანია.

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ვახტანგ ცაბაძე

შპს გრანტ თორნტონის სახელით

მმართველი პარტნიორი

თბილისი, საქართველო

2021 წლის 24 ნოემბერი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	პენიშვნა	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარი შებული)	2018 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარ იშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები	4	4,956,756	4,537,783	4,097,942
ძირითადი საშუალებები	5	3,922	7,120	10,149
არამატერიალური აქტივები	6	2,383,572	2,918,819	3,173,695
გაცემული სესხები		7,344,250	7,463,722	7,281,786
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	266,306	256,410	228,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	105,536	136,648	129,470
სხვა მიმდინარე აქტივები		100,655	29,244	24,420
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	9	726,441	651,476	547,281
		1,198,938	1,073,778	929,345
სულ აქტივები		8,543,188	8,537,500	8,211,131
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები		200	200	200
საწესდებო კაპიტალი		1,578,703	1,344,932	674,949
აკუმულირებული მოგება		1,578,903	1,345,132	675,149
გრძელვადიანი ვალდებულებები	10	4,151,190	3,459,529	4,409,852
სესხები		4,151,190	3,459,529	4,409,852
მიმდინარე ვალდებულებები	11	1,997,299	2,283,507	1,790,506
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	815,796	1,388,280	1,331,639
სესხები		-	59,883	-
საიჯარო ვალდებულებები		-	1,169	3,985
მიმდინარე მოგების გადასახადი		2,813,095	3,732,839	3,126,130
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,543,188	8,537,500	8,211,131

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 24 ნოემბერს:

ევგენი ფიჩხაია

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო კობერიძე

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული პენიშნებითან 11-30 გვერდებზე ერთად, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს;

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ანტრე 2008“-ის მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

25 ოქტომბერი 2021 წ

ევგენი ფიჩხაია

დირექტორი

შპს „ანტრე 2008“

